სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი (ტექსტში შემდგომ - ,,წესი“) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

1.2. წესის მიზანია უზრუნველყოს სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალის დაკომპლექტება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა, უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო მიზნების, აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველისა და უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

1.3. წესის დანიშნულებაა, მასში გათვალისწინებული დებულებებისა და პროცედურების მეშვეობით უზრუნველყოს უნივერსიტეტის მოთხოვნებისა და საკონკურსო მონაცემების ობიექტური შეფასება, მათი ერთმანეთთან ურთიერთშეჯერებისა და საერთო ინტერესების მომცველი შრომითსამართლებრივი კავშირის ჩამოყალიბება, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის დამყარება უნივერსიტეტის კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2. საკონკურსო თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

2.1. პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით, შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო ან/და პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება.

2.2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც

აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. სახელოვნებო(შემოქმედებითი) მიმართულების (გარდა თეორიული დარგებისა) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე არანაკლებ 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური ან/და სახელოვნებო (შემოქმედებითი) მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება.

2.3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით. სახელოვნებო (შემოქმედებითი) მიმართულების (გარდა თეორიული დარგებისა)ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე არანაკლებ 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი.

2.4. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით. სახელოვნებო (შემოქმედებითი) მიმართულების (გარდა თეორიული დარგებისა) ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მაგისტრანტი 2 ან 3 წლის ვადით.

2.4.1. სახელოვნებო (შემოქმედებითი) მიმართულებით, ასისტენტის თანამდებობის

დაკავების მსურველი უნდა იყოს არანაკლებ მაგისტრანტი და ფაკულტეტის საბჭოს წარმოუდგინოს შესაბამისი მიმართულების ლიდერის, ან დეკანის რეკომენდაცია. ფაკულტეტის საბჭო განხილვის შემდეგ აკადემიურ საბჭოს წარუდგენს შესაბამის კანდიდატს ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე დასანიშნად. სახელოვნები (შემოქმედებითი) მიმართულებით, ასისტენტის თანამდებობის დაკავებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია და დამატებითი

საკითხები განისაზღვრება ფაკულეტეტის საბჭოს მიერ.

2.5. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, სახელოვნებო (შემოქმედებითი) მიმართულების (გარდა თეორიული დარგებისა) აკადემიური თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელსაც არა აქვს მოპოვებული დოქტორის/მაგისტრის აკადემიური ხარისხი, მაგრამ მისი კვალიფიკაცია დასტურდება პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და შემოქმედებითი საქმიანობით. ასეთ შემთხვევაში პირისკვალიფიკაცია უნდა შემოწმდეს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი მოთხოვნებით.

2.6. კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლით განსაზღვრული შემოქმედებითი მიმართულებით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასების წესი განისაზღვრება დანართი 1-ით განსაზღვრული კრიტერიუმებით.

2.7. აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, გარდა უნივერსიტეტის წესდების 30-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისისა - აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება განსაზღვრული ვადით არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციისა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ფაკულტეტის მიერ რეკომენდაცია გაიცემა და აკადემიური საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს წევრთა სიითი შეადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერით.

მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება

3.1. პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ–პროფესორისა და ასისტენტის (თეორიული მიმართილებით) თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3.2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დამატებით, რომელიმე საინფორმაციო წყაროს საშუალებით ინტერნეტში ან პრესაში, საბუთების მიღებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ 10 დღე, რის შემდეგაც ხდება შერჩევა და შედეგების გამოცხადება.

3.3. კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კონკურსის პირობებს ადგენს აკადემიური საბჭო, ზუსტი ვადა და პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

3.4. კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, თითოეული მიმართულების სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებლობის შემთხვევაში აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, კონკურსანტებისათვის შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი მოთხოვნები.

3.5. კონკურსის ჩატარების სხვა აუცილებელი ვადები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკონკურსო ვადა სრულდება უნივერსიტეტისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, კონკრეტული საკონკურსო ვადის დასრულების დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

3.6. კონკურსი ჩაითვლება ჩაშლილად და განმეორებით შესაძლოა გამოცხადდეს ყველა შესაბამისი პროცედურის დაცვით თუ:

3.6.1. არცერთი განცხადება არ იქნება წარმოდგენილი

3.6.2. ვერცერთმა კონკურსანტმა ვერ დააგროვეს მინიმალური ქულა

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

4.1. კონკურსში მონაწილეობი მსურველი ვალდებულია, საკონკურსო დოკუმენტაცია საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარუდგინოს საბუთების მიმღებ პირს.

4.2. საბუთების მიმღები პირი მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

4.3. კონკურსში მონაწილეობის მსურველი კონკურსში მონაწილეობისათვის ვალდებულია, მატერიალური და ელექტრონული სახით უფლებამოსილ პირს წარუდგინოს:

4.3.1. განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

4.3.2. პირადობის ან/და პასპორტის ასლი;

4.3.3. საკონკურსო განაცხადი (ანკეტა);

4.3.4. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი;

4.3.5. სამეცნიერო ხარისხის/ წოდების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

4.3.6. ერთი ფოტოსურათი (3 X 4);

4.3.7. სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაცია, მათ შორის, მოხსნილი ან/და გაქარწყლებული ნასამართლობის შესახებ;

4.3.8. საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო–პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა ან/და შესაბამისი დოკუმენტის ასლი;

4.3.9. პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად წარმოდგენილი უნდა იქნეს დარგის სწავლების (BA/MA/PhD) კონცეფცია;

4.3.10. პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულოა დისციპლინის საავტორო სილაბუსის წარდგენა სამივე საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად დისციპლინის სწავლების სტრუქტურის აღწერა საავტორო სილაბუსი საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულოა საბაკალავრო დონეზე დისციპლინის საავტორო სილაბუსის და მიმართულების პროფესორის რეკომენდაციის წარდგენა (ასეთი თანამდებობის არ არსებობის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაცია).

ასისტენტობის მსურველმა, კომისიას უნდა წარუდგინოს პროფილური მიმართულების 1 პროფესორის ან 2 ასოცირებული პროფესორის რეკომენდაცია. ერთიდაგივე პირმა, მხოლოდ ერთ კანდიდატს შეიძლება გაუწიოს მსგავსი წერილობითი რეკომენდაცია.

შენიშვნა: სილაბუსები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისად გამოცხადებულ მიმართულებასთან დაკავშირებით და უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის სათანადო მიმართულების სასწავლო პროგრამების შემადგენელ დისციპლინებს.

4.4. არსებობის შემთხვევაში კონკურსანტი წარმოადგენს დოკუმენტაციას:

4.4.1. აქტივობის (შემოქმედებითი, სამეცნიერო-პედაგოგიური და ა.შ.) დამადასტურებელი მასალა. შემოქმედებითი ნამუშევრის ელქტრონული ვერსია, აფიშა ან პროგრამა, რაც დაადასტურებს კონკურსანტის ავტორობას, თანაავტორობას ან ასისტენტობას (დოკუმენტად შეიძლება იქნეს მიღებული შესაბამისი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ გაცემული ოფიციალური ცნობაც).

4.4.2. გამოცემული პროფილური წიგნები და სახელმძღვანელობები; გამოქვეყნებული პროფილური შრომები; სტატიები და რეცენზიები (ნაშრომების სიაში მითითებული უნდა იყოს გამომცემის ადგილი, გამომცემლობა და გამოცემის წელი (სტატიის შემთხვევაში, კრებულის ნომერიც და საწყისი და ბოლო გვერდების ნომერბიც), ხოლო დამადასტურებელ დანართში წარმოდგენილი უნდა იყოს სატიტულო გვერდი, სარჩევის გვერდი, რათა დადასტურდეს ავტორის ვინაობა, გვერდების რაოდენობა, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა და წელი).

შენიშვნა: თეორიული მიმართულების კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ბოლო 10 წლის განმავლობაში შექმნილი პროფილური შრომები, სტატიები, კონფერენციების მასალები, ბროშურები, რეცენზიები და სხვა. ეს ვადა არ ეხება პროფილურ წიგნებსა და მონოგრაფიებს.

4.4.3. საქართველოს ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

4.4.4. სხვა სახის აქტივობები ან/და დოკუმენტაცია, რომელსაც კომისია აფასებს დანართი 1-ის მიხედვით.

4.5. სავალდებულოა კონკურსანტის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

4.6.კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წარდგენილი დოკუმენტები მოწმდება (ფორმალური გამართულობა) და შესაბამისად აღიწერება ამ მუხლის მე-2 ნაწლით განსაზღვრული პირის მიერ და ილუქება გადაცემული უნივერსიტეტის კანცელარიის ბეჭდით კონკურსანტის თანდასწრებით (გარდა კონკურსანტის მიერ დასწრებაზე უარის განცხადებისა).

4.6. საკონკურსო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, საბუთები მიღებას არ ექვემდებარება და კონკურსში მონაწილეობის მსურველს უფლებამოსილი პირის მიერ ეძლევა განაცხადის, კონკურსანტის ანკეტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის განმეორებით წარმოდგენის ვადა, მაგრამ არაუმეტეს საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული საკონკურსო განცხადებების /დოკუმენტაციის/ მიღების ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღისა.

მუხლი 5. საკონკურსო კომისია

5.1. კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია (შემდგომში - ,,საკონკურსო კომისია“), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3 ან 5 წევრით და მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ უნივერსიტეტის რექტორის წარდგინებით.

5.2. საკონკურსო კომისია შესაძლებელია შედგებოდეს უნივერსიტეტის ფაკულტეტების საგანმანათლებლო-სამეცნიერო, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წარმომადგენლებისა და შესაბამისი დარგის მოწვეული (მათ შორის უცხოელი) სპეციალისტებისაგან. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შექმნას ერთდროულად რამდენიმე საკონკურსო კომისია ფაკულტეტებისა და მიმართულებების მიხედვით.

5.3. კომისიის მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაძლებელია მოწვეულ იქნეს შესაბამისი დარგის ექსპერტი/ექსპერტები.

5.4. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ამავე კონკურსში მონაწილეობს კონკურსანტის ან პრეტენდენტის სტატუსით, ან პირი, რომელიც კონკურსანტისა თუ პრეტენდენტის ახლო ნათესავია. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები ასევე განსაზღვრულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით. კონკურსანტი/პრეტენდენტი უფლებამოსილია ამავე კოდექსის 93-ე მუხლით დადგენილი წესით განაცხადოს აცილება.

5.5. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

5.6. პირველი შეკრებისთანავე საკონკურსო კომისია ირჩევს თავმჯდომარეს, ღია კენჭისყრის საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით.

5.7. დაუშვებელია საკონკურსო კომისიასა ან მის რომელიმე წევრზე (წევრებზე) კონკურსანტის ან პრეტენდენტის მიერ ან/და მათი სახელით, რაიმე სახის ან ფორმის ზეწოლა საკონკურსო კომისიაში მისი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუხლი 6. საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება, კონკურსანტის შეფასება

6.1. საკონკურსო დოკუმენტაცია შესაბამის საკონკურსო კომისიას გადაეცემა უფლებამოსილი პირის მიერ საკონკურსო განცხადებების მიღების დასრულებისთანავე ან იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია საკონკურსო დოკუმენტაციის განმეორებით წარმოდგენის ვადა - არაუადრეს ამ ვადის დასრულების დღისა, დალუქულ მდგომარეობაში, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

6.2. საკონკურსო დოკუმენტაცია იხსნება საკონკურსო კომისიის სხდომაზე კომისიის მიერ.

6.3. საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის განცხადების, კონკურსანტის ანკეტისა და დოკუმენტაციის სისრულესა და შესაბამისობას მოყვანილ მოთხოვნებთან და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

6.4. საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის ანკეტის ინფორმაციის სისწორეს და არასწორი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

6.5. საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსანტს მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის საფუძველზე ამ წესით დამტკიცებული კონკურსანტის შეფასების ფორმის დანართი 1-ის მიხედვით.

6.6. თუ საარჩევნო კომისია დაადგენს, რომ კონკურსანტი ვერ აკმაყოფილებს ამ წესის მე-2 მუხლის მოთხოვნებს უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

6.7. თუ საარჩევნო კომისია დაადგენს, რომ კონკურსანტი ვერ აკმაყოფილებს ამ წესის მე-2 მუხლის მოთხოვნებს უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

6.8. თუ საარჩევნო კომისია დაადგენს, რომ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გაყალბებულია ან/და არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს შეუძლია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის შესაბამის კრიტერიუმში შეუფასებლობის ან კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

6.9. საკონკურსო კომისია შედეგებს ადგენს წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით – ღია კენჭისყრით. საკონკურსო კომისია ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს საკონკურსო პირობების ძირითადი

და დამატებითი მოთხოვნებით, საკონკურსო კომისია კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას დანართი 1-ის მიხედვით აფასებს ქულობრივი სისტემით, თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და ქულათა ჯამით გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულს.

6.10. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში კომისია განსაზღვრავს გასაუბრების თარიღს, რომელსაც აცნობებს კონკურსანტებს. გასაუბრების შედეგად კომისია გამოავლენს კონკურსის გამარჯვებულს ღია კენჭისყრით დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის 1/2-სა.

6.11. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსანტმა უნდა დააგროვოს მინიმალური ქულების შემდეგი რაოდენობა: პროფესორი - 200 ქულა; ასოცირებული პროფესორი - 150 ქულა; ასისტენტ-პროფესორი - 60 ქულა; ასისტენტისათვის ქულათა მინიმალური ზღვარი არ არის განსაზღვრული.

6.12. საკონკურსო კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ (მათ შორის, კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით, რომელიც ექვემდებარება საჯაროდ გამოქვეყნებას).

6.13. კომისია ვალდებულია კონკურსის შედეგი კონკურსანტს აცნობოს საკონკურსო კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ ხუთი სამუშაო დღის ვადაში ელექტრონული ფოსტის საშუალებით კონკურსანტის მიერ მითითებულ ელექტორნულ ფოსტაზე.

6.14. გარდა ამ წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა, კომისია თავის შესასრულებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, რაც არ უნდა იყოს კომისიის სიითი შემადგენლობის 1/2-ზე ნაკლები. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

6.15. საკონკურსო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში, საკონკურსო კომისიის სხდომა დახურულია, საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი კომისიის მუშაობის პროცესში და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ კონკურსის შედეგების გამოქვეყნებამდე.

მუხლი 7. შედეგების გასაჩივრება და სააპელაციო კომისია

7.1. სააპელაციო განცხადებებს განიხილავს სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით და საკონკურსო კომისიასთან ერთად

მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ უნივერსიტეტის რექტორის წარდგინებით.

7.2. სააპელაციო კომისიის მინიმუმ ერთი წევრი წარმოდგენილი უნდა იქნეს სხვა უნივერსიტეტიდან

7.3. კონკურსანტი სააპელაციო განცხადებას წარუდგენს საკონკურსო კომისიას კონკურსის შედეგების შესახებ შეტყობინების მიღებიდან სამი სამუშო დღის ვადაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

7.4. საკონკურსო კომისია ვალდებულია განცხადების მიღებიდან სამი დღის ვადაში სააპელაციო კომისიას გადაუგზავნოს როგორც სააპელაციო განცხადება ისე განმცხადებლის მიერ, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია სრულად.

7.5. სააპელაციო კომისია განმეორებით აფასებს კონკურსანტს საკონკურსო კომისიის მიერ გადაცემული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის საფუძველზე ამ წესით დამტკიცებული კონკურსანტის შეფასების ფორმის დანართი 1-ის მიხედვით.

7.6. სააპელაციო კომისია განაცხადის მიღებიდან ათი დღის ვადაში იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას სააპელაციო განაცხადის შესახებ, რომელსაც წარუდგენს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

7.7. თუ ამ მუხლით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული სააპელაციო კომისიის საქმიანობაზე ვრცელდება საკონკურსო კომისიისათვის განსაზღვრული საკითხები.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. კანდიდატი, რომელსაც უკავია აკადემიური თანამდებობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, პროფესორის თანამდებობაზე გასვლის შემთხვევაში, კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, ვალდებულია არსებული სამსახურიდან გათავისუფლდეს; ხოლო ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავებისას, პირს, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის უფლება აქვს, მხოლოდ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობით.

8.2. საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა შესაბამის პასუხისმგებელ პირს. კონკურსანტსა და პრეტენდენტს, მისი წერილობითი მოთხოვნის

შემთხვევაში, უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტები (ასევე, სხვა მასალები), მათი ქსეროასლები კი რჩება (მიზანშეწონილობიდან გამომდინარე) ფაკულტეტის კანცელარიაში.

დანართი №1

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) დაკავების წესთან დაკავშირებული ქულების მინიჭების განმსაზღვრელი ძირითადი მოთხოვნები:

1. აკადემიური ხარისხი თითოეულზე:

I. დოქტორი (პროფილური) - 10 ქულა;

II. დოქტორი (არაპროფილური) – 4 ქულა;

III. მაგისტრი (პროფილური) – 5 ქულა; წარჩინებით + 1 ქულა

IV. მაგისტრი (არაპროფილური) – 3 ქულა

V. ბაკალავრი (პროფილური) – 4 ქულა; წარჩინებით + 1 ქულა

VI. ბაკალავრი (არაპროფილური) – 2 ქულა

შენიშვნა: მედიის მიმართულებაზე ხელოვნებაათმცოდნეობის დოქტორი ჩაითვლება პროფილურ დოქტორად.

2. პროფილური პედაგოგიური ან/და სამეცნიერო-კვლევითი სტაჟი ავტორიზებულ უსდ-ში:

I. სამეცნიერო-კვლევითი თანამდებობა: 1 წელი – 1 ქულა;

II. პედაგოგიური (მოწვეული): 1 წელი - 1 ქულა.

III. აკადემიური თანამდებობა: 1 წელი - 2 ქულა.

3. სილაბუსი:

I. სასწავლო კურსთან შინაარსობრივი შესაბამისობა - 1-დან 3 ქულამდე;

II. სწავლების მეთოდის სიცხადე, შესაბამისობა მიზნებთან და შედეგებთან, ნოვატორობა - 1-დან 3 ქულამდე;

III. ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის დისციპლინასთან შესაბამისობა, ხარისხი და მრავალფეროვნება - 1-დან 3 ქულამდე;

IV. სტრუქტურული გამართულობა და თანამედროვე მოთხოვნებთან, სტანდარტებთან მისი შესაბამისობა - 1-დან 3 ქულამდე.

შენიშვნა: ამ კრიტერიუმებით, ცალ-ცალკე ფასდება კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი თითოეული სილაბუსი, როგორც სწავლების სამივე საფეხურზე, ისე ერთსა და იმავე სწავლების დონეზე (შეიძლება იყოს რამდენიმე საგნის ან ერთი და იგივე საგნის, ოღონდ სხვადასხვა მოცულობის, კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე). შემდეგ, იკრიბება ყველა ცალკეული სილაბუსის ქულა და ვიღებთ საბოლოო შეფასებას, ერთ კონკრეტულ კრებით ციფრს.

პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი - საკონკურსო კომისიას წარუდგენს, სათანადო მიმართულების სწავლების სამივე საფეხურისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) განკუთვნილ სილაბუსებს.

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი- საკონკურსო კომისიას წარუდგენს, სათანადო მიმართულების სწავლების მინიმუმ ორი საფეხურისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) განკუთვნილ სილაბუსებს.

ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი- საკონკურსო კომისიას წარუდგენს, სათანადო მიმართულების მინიმუმ სწავლების პირველი საფეხურისათვის (ბაკალავრიატი) განკუთვნილ სილაბუსს.

4. სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელობა:

I. პროგრამის ხელმძღვანელობა; თითოეული 9 ქულა

5. მიმართულების ხელმძღვანელობა - 1 წელი- 2 ქულა.

6. სპეციალობაში (პროფესიაში) გამოშვებული ჯგუფის ხელმძღვანელობა:

I. ერთი გამოშვებული ჯგუფი - 3 ქულ.

შენიშვნა: მე-5 და მე-6 მუხლებით ფასდებიან მხოლოდ თეორიული მიმართულებით გამოცხადებული კონკურსის მონაწილეები.

7. სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის პროფილური ნაშრომი (სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის სტატია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი სამეცნიერო აპარატით (სქოლიო; გადამოწმებული ინფორმაცია) და გამოქვეყნებულია რეფერირებულ ჟურნალში ან კრებულში)

I. ნაშრომი ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში ან კრებულში; თითოეული - 2 ქულა;

II. ნაშრომი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ან კრებულში; თითოეული - 4 ქულა.

III. ნაშრომი უცხოეთში გამოცემულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ან კრებულშითითოეული - 6 ქულა;

8. წიგნი (წიგნად ითვლება გამომცემლობის მიერ პოლიგრაფიულად დასტამბული ან ელექტრონულად გამოცემული, გრიფირებული და შესაბამის ვებ-გვერდებზე, მ.შ. ელექტრონული ბიბლიოთეკების ვებ-გვერდებზე, გამოქვეყნებული ნაშრომი, რომლის მოცულობა არ უნდა შეადგენდეს 80 გვერდზე ნაკლებს);

I. პროფილური სახელმძღვანელო; პროფილური მონოგრაფია; თითოეული - 10 ქულა;

II. სამეცნიერო-პოპულარული (ან მიმოხილვითი ხასიათის) წიგნი; ლექსიკონი; თითოეული - 8 ქულა;

III. პროფილური დამხმარე სახელმძღვანელო; პროფილური წიგნის, სახელმძღვანელოს თარგმანი; თითოეული - 7 ქულა;

IV. პროფილური ბროშურა, ბუკლეტი (მოცულობა 25-დან 79 გვერდამდე): პროფილური კატალოგი, ალბომი, ხელოვანის წერილების ან სხვა მასალის კრებული (შემდგენელი, რედაქტორ-გამომცემელი); პროფილური სასწავლო-საცნობარო, მეთოდოლოგიური ლიტერატურა (მეთოდოლოგიური მითითებანი, სასწავლო მასალა და სხვა.); სტატიების კრებულის თარგმანი; თითოეული - 5 ქულა;

V. პროფილური სტატიის თარგმანი; თითოეული - 2 ქულა.

9. პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული გრანტის (პროექტის დაფინანსების), სტიპენდიის მიღება:

I. დაფინანსების ქართული წყაროს შემთხვევაში, თითოეულზე - 3 ქულა;

II. დაფინანსების უცხოური წყაროს შემთხვევაში, თითოეულზე - 5 ქულა.

10. პროფილურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა:

I. მომხსენებლის რანგში საქართველოში (ადგილობრივი); თითოეული - 3 ქულა;

II. მომხსენებლის რანგში საქართველოში (საერთაშორისო); თითოეული - 4 ქულა;

III. მომხსენებლის რანგში საზღვარგარეთ; თითოეული - 5 ქულა;

IV. სასტენდო მოხსენება ადგილობრივ პროფილურ სამეცნიერო კონფერენციაში - 2 ქულა;

V. სასტენდო მოხსენება საზღვარგარეთ პროფილურ სამეცნიერო კონფერენციაში - 3 ქულა;

VI. ორგანიზატორი - ადგილობრივი; თითოეული - 4 ქულა;

IV. ორგანიზატორი - საერთაშორისო; თითოეული - 6 ქულა;

V. საორგანიზაციო საბჭოს წევრი - ადგილობრივი; თითოეული - 2 ქულა;

VI. საორგანიზაციო საბჭოს წევრი - საერთაშორისო; თითოეული - 3 ქულა.

11. დაცულ, კონფერენციაზე წაკითხული ან გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებთან დაკავშირებით:

I. სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა; თითოეული – 8 ქულა;

II. სადოქტორო ნაშრომის თანახელმძღვანელობა (სახელოვნებო მიმართ. თეორიული ნაწილი) თითოეული – 4 ქულა;

III. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა; თითოეული – 4 ქულა,

IV. სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელობა; თითოეული - 2 ქულა;

V. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა; თითოეული – 2 ქულა;

VI. სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტობა; თითოეული – 3 ქულა;

VII. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტობა; თითოეული – 2 ქულა;

VIII. საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტობა; თითოეული – 1 ქულა;

IX. სადოქტორო ნაშრომის ექსპერტობა; თითოეული – 2 ქულა;

X. სტუდენტის საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა; თითოეული - 1 ქულა;

XI. საბაკალავრო ნაშრომის კონსულტანტობა; თითოეული – 1 ქულა;

XII. სამაგისტრო ნაშრომის კონსულტანტობა; თითოეული – 2 ქულა;

XIII. სადოქტორო ნაშრომის კონსულტანტობა; თითოეული – 3 ქულა;

12. სამეცნიერო ან სარედაქციო საბჭოს წევრობა:

I. სამეცნიერო საბჭოს წევრობა; თითოეული – 2 ქულა;

II. სარედაქციო საბჭოს წევრობა; თითოეული - 1 ქულა.

13. წიგნის, კრებულის რედაქტორობა, რეცენზენტობა, კონსულტანტობა:

I. პროფილური სახელმძღვანელოს რედაქტორობა; თითოეული – 3 ქულა;

II. პროფილური დამხმარე სახელმძღვანელოს/სამეცნიერო კრებულის რედაქტორობა; თითოეული – 2 ქულა;

III. პროფილური მონოგრაფიის რედაქტორობა; თითოეული – 3 ქულა;

IV. პროფილური სახელმძღვანელოს რეცენზენტობა; თითოეული – 2 ქულა;

V. პროფილური დამხმარე სახელმძღვანელოს ან მონოგრაფიის რეცენზენტობა; თითოეული - 1 ქულა;

VI. პროფილური წიგნის კონსულტანტობა; თითოეული – 1 ქულა.

14. პროფილურ საგანმანათლებლო-შემოქმედებით, საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო სფეროს პროექტებში, ფესტივალები, „ვოკშოპები“, ლექცია, მასტერ-კლასებში მონაწილეობა და ხელმძღვანელობა:

I. ადგილობრივი მონაწილეობა; თითოეული – 1 ქულა;

II. საერთაშორისო - მონაწილეობა; თითოეული – 3 ქულა;

VII. ადგილობრივი - ხელმძღვანელობა; თითოეული - 3 ქულა;

VIII. საერთაშორისო - ხელმძღვანელობა; თითოეული - 4 ქულა;

IX. ფესტივალის/ კონკურსის ჟიურის წევრობა - 2 ქულა.

15. პროფესიული საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციების წევრობა, ექსპერტობა:

I. ადგილობრივი ორგანიზაციის წევრობა; თითოეული - 1 ქულა;

II. საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა; თითოეული - 2 ქულა;

III. ადგილობრივი ორგანიზაციის ექსპერტობა; თითოეული - 2 ქულა;

IV. საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტობა; თითოეული - 4 ქულა;

16. საკვალიფიკაციო/საკონკურსო კომისიათა წევრობა, თავმჯდომარეობა:

I. საკვალიფიკაციო ნაშრომთა დაცვის კომისიის წევრობა (ბაკალავრიატი); თითოეული – 1 ქულა;

II. თავმჯდომარეობა (ბაკალავრიატი); თითოეული – 2 ქულა.

III. საკვალიფიკაციო ნაშრომთა დაცვის კომისიის წევრობა (მაგისტრატურა); თითოეული – 2 ქულა;

IV. თავმჯდომარეობა (მაგისტრატურა); თითოეული – 3 ქულა.

V. საკვალიფიკაციო ნაშრომთა დაცვის კომისიის წევრობა (დოქტორანტურა); თითოეული – 3 ქულა;

VI. თავმჯდომარეობა (დოქტორანტურა) თითოეული – 4 ქულა.

VII. საკონკურსო კომისიის წევრობა - 2 ქულა;

VIII. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეობა - 3 ქულა

17. სადისერტაციო საბჭოში საქმიანობა:

I. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეობა (1 წელი) - 1 ქულა

II. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეობის მოადგილეობა (1 წელი) - 0.75

III. სადისერტაციო საბჭოს მდივნობა (1 წელი) - 0.5

IV. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის თავმჯდომარეობა (1 წელი) - 1 ქულა

V. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის მდივნობა (1 წელი) - 0.5 ქულა

18. პროფესიული პროფილური პრემია:

I. რუსთაველის სახელობის - 10 ქულა;

II. სახელმწიფო - 6 ქულა;

III. სახელობითი - 3 ქულა;

IV. ყოველწლიური და სხვ. – 2 ქულა;

V. საერთაშორისო - 5 ქულა.

19. პროფესიული მოღვაწეობისათვის მიღებული მადლობა, სიგელი, სამთავრობო ჯილდო:

I. მადლობა - 1 ქულა;

II. სიგელი - 2 ქულა;

III. ჯილდო - 3 ქულა.

20. საერთაშორისო აკადემიური გამოცდილება (უცხოეთის უნივერსიტეტებში სამეცნიერო/პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება):

I. უცხოეთის უნივერსიტეტებში სამეცნიერო/პედაგოგიური მუშაობა - თითოეული ვიზიტი 5 ქულა;

21. უცხო ენის ფლობა:

I. ნებისმიერი უცხო ენა (B2 დონეზე) - თითოეულის ცოდნა 3 ქულა.

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია გადაამოწმოს პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია უცხო ენის ცოდნასთან დაკავშირებით თავად ან/და შესაბამისი სპეციალისტის მოწვევის საშუალებით.

22. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საშემსრულებლო ფაკულტეტებზე (დრამისა და კინო-ტელე) აკადემიური თანამდებობის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-

პროფესორი, ასისტენტი) დასაკავებლად კონკურსში მონაწილე კანდიდატები დამატებით შეფასდებიან:

23.1 სპეციალობაში (მიმართულებაში) ჯგუფის ხელმძღვანელობა, ჯგუფის გამოშვება:

I. სპეციალობაში (მიმართულებაში) ჯგუფის ხელმძღვანელობის პედაგოგიური სტაჟი: 1 წელი - 3 ქულა;

II. თითოეულ გამოშვებულ ჯგუფზე ჯგუფის ხელმძღვანელის რანგში დამატებით:1 წელი -2 ქულა;

III. სრული საბაკალავრო კურსი 4 წელი - 8 ქულა;

IV. სრული სამაგისტრო კურსი 2 წელი - 4 ქულა;

V. სრული სადოქტორო კურსი 3 წელი - 6 ქულა;

შენიშვნა: ქულათა მაქსიმალური რაოდენობა ერთი წლის მუშაობის პერიოდში შეადგენს 7 ქულას, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: პედაგოგიური სტაჟი - 2 ქულა; ჯგუფის ხელმძღვანელობა - 3 ქულა; სრული აკადემიური კურსის ერთწლიანი მონაკვეთი - 2 ქულა; (ანალოგიურად, ქულათა შეკრებითობის წესი ვრცელდება ასისტენტებზეც).

23.2 ჯგუფის ხელმძღვანელის ასისტენტობა შესაბამისი სპეციალობით:

I. ჯგუფის ხელმძღვანელის ასისტენტობა შესაბამისი სპეციალობით: 1 წელი - 1 ქულა;

II. სრული საბაკალავრო კურსი: 4 წელი - 6 ქულა;

III. სრული სამაგისტრო კურსი 2 წელი - 3 ქულა

23.3 თეატრალური, კინო - ტელე, ქორეოგრაფიული და მუსიკალური ფესტივალები:

I. ადგილობრივ ფესტივალში მონაწილეობა; თითოეული - 1 ქულა;

II. საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა; თითოეული - 2 ქულა;

III. ადგილობრივი ფესტივალში მიღებული პრიზები და პრემიები; თითოეული - 1 ქულა;

IV. საერთაშორისო ფესტივალში მიღებული პრიზები და პრემიები; თითოეული - 3 ქულა;

V. ადგილობრივი ჟიურის წევრობა; თითოეული - 1 ქულა;

VI. საერთაშორისო ჟიურის წევრობა; თითოეული - 2 ქულა.

საუნივერსიტეტო პროექტების ჩატარება - ორგანიზება:

VII. ფესტივალის ჩატარება - ორგანიზება; თითოეული – 3 ქულა

VIII. კონფერენცია ჩატარება - ორგანიზება; თითოეული– 2 ქულა

23.4 შემოქმედებითი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გამოცდილება:

I. თეატრი, კინოსტუდია, ტელევიზია, ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლი და სხვ.; 1 წელი - 1 ქულა

23.5 შემოქმედებითი გამოცდილება:

I. პროფესიული თეატრის სცენებზე სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი; თითოეული - 3 ქულა;

II. სასწავლო თეატრის სცენაზე სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი; თითოეული – 5 ქულა;

III. პროფესიული და სასწავლო თეატრის სცენებზე სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორის ასისტენტობა: პროფესიულ სცენაზე: თითოეული – 1 ქულა სასწავლო თეატრის სცენაზე: თითოეული – 2 ქულა.

IV. სრულ მეტრაჟიანი მხატვრული თითოეული - 5 ქულა

V. სრულ მეტრაჟიანი დოკუმენტური, ანიმაციური ფილმი: თითოეული - 4 ქულა;

VI. მოკლე მერტაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური ფილმი თითოეული -3 ქულა

VII. მხატვრული, დოკუმენტური ფილმის რეჟისორის, ოპერატორის, ხმის რეჟისორის ასისტენტობა: თითოეული - 1 ქულა;

VIII. დადგმითი ხასიათის ვიდეოპროდუქცია; თითოეული - 1 ქულა;

IX. სასწავლო და პროფესიულ სცენებზე დადგმული საკონცერტო/ ქორეოგრაფიული პროგრამა: თითოეული - 3 ქულა;

X. სპექტაკლში ცეკვის დადგმა: თითოეული - 1 ქულა.

XI. საკონცერტო მუსიკალური პროგრამა: თითოეული - 3 ქულა.

XII. სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება: თითოეული - 1 ქულა.

XIII. სპექტაკლის მხატვრული გაფორმება: თითოეული - 1 ქულა.

XIV. ფილმის მუსიკალური გაფორმება: თითოეული - 1 ქულა.

XV. ფილმის მხატვრული გაფორმება: თითოეული - 1 ქულა.

XVI. ფილმის ქორეოგრაფიული გაფორმება: თითოეული – 1 ქულა.

XVII. სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა (მუსიკალური, ქორეოგრაფიული ნომრით): თითოეული – 1 ქულა.

XVIII. თეატრში, კინოში განხორციელებული როლები: თითოეული – 1 ქულა.

XIX. ნებისმიერი ჟანრის და სახის ტელეპროდუქციის რეჟისურა (თოქშოუ, გადაცემათა ციკლი, საავტორო გადაცემა და ა.შ): თითოეული - 3 ქულა.

XX. ფილმის რეჟისორის, ოპერატორის და ხმის რეჟისორის ასისტენტობა: თითოეული - 1 ქულა.

XXI. აუდიო - ვიზუალური პროდუქციის ხმოვან - პოლიფონიური რიგის შექმნა: თითოეული – 1 ქულა.

XXII. მედია პროდუქტის შექმნაში მონაწილეობა (ავტორი (კორესპონდენტი), რეჟისორი, პროდიუსერი, წამყვანი): ერთი მედია პროდუქტი - 1 ქულა, გადაცემათა ციკლი - 3 ქულა;

შენიშვნა:

ა) სპექტაკლის ქორეოგრაფიული და მუსიკალური გაფორმებისათვის ქულები დაეწერება მხოლოდ შესაბამისი (სამუსიკო და ქორეოგრაფიული) მიმართულების კონკურსანტს.

ბ) კინოში და თეატრში განხორციელებული მთავარი როლებისათვის ქულები დაეწერება ძირითადი მოდულის დისციპლინის კონკურსანტებს (მსახიობის და რეჟისურის ოსტატობის დისციპლინის გარდა).

გ) კონკურსანტებს: დრამისა და კინოს სამსახიობო მიმართულებით, რეჟისორებს დრამის, კინო და ტელე მიმართულებით საკონკურსო ქულა ეწერებათ ზემოხსენებულ სფეროებში განხორციელებული ნებისმიერი სარეჟისორო ნამუშევრისათვის. შესაბამისად იგივე წესი მოქმედებს რეჟისორების ასისტენტების შემთხვევაშიც.